დანართი № 2

# შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები" აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

## შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების" საკუთრებაში არსებული, სპეციალური ავტო ამწის KRAZ 250, გამოშვების წელი 1991, სახელმწიფო ნომრით JGJ-109, საიდ.ნომერი GESA3E00869, რეალიზების მიზნით

1. **ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:**
   - **ქონების მისამართი** - ქ. ფოთი, ნაბადის უბანი, ნაკვეთი 03/618, შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების" ფოთის ტერმინალი.
   - **ქონების საწყისი ღირებულება - 12 180** ლარი დღგ-ს ჩათვლით;
   - **"ბიჯი" - 500 ლარი;**
   - **"ბე" - 2436 ლარი**;
2. **აღწერილობა:**

ავტოსატრანსპორტო საშუალება ტექნიკურად გაუმართავ და ამორტიზებულ მდგომარეობაშია, ძარას აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული ცვეთის კვალი. ამწეს ასევე აღენიშნება ღია ცის ქვეშ ხანგრძლივად დგომის კვალი. ტექნიკას დაზიანებული აქვს საბურავები, ლაქ-საღებავის ფენა სრულად, წინა ბამპერი, ცხაურა, ძრავის სახურავი, სადგომი ფეხები, წინა და უკანა მაშუქი ფარები, წინა მარჯვენა უძრავი საქარე მინები, ძრავის მაკომპლექტებელი დეტალები. ამწე ტექნიკურად გაუმართავ და ამორტიზირებული მდგომარეობაშია.

- ქონების წინასარეალიზაციო დათვალიერება შესაძლებელია მის განთავსების ადგილზე.

3. **აუქციონის ტექნიკური პირობები:**

- ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება ვებ-გვერდზე www.eauction.ge. აუქციონი გაიმართება www.eauction.ge-ზე გამოქვეყნებული ხელშეკრულების შესაბამისად (თან ერთვის).
- ინტერნეტ-აუქციონში გამარჯვებულთან ფორმდება ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, იმ პირობების გათვალისწინებით რომლის შინაარსიც გამოქვეყნებულია ლოტის საინფორმაციო ველში (ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა თან ერთვის).

ინტერნეტ აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 15 კალენდარული დღე;

4. **განსაკუთრებული პირობები:**

- ნასყიდობის ხელშეკრულების (თანდართული პროექტის არსებითი პირობების გათვალისწინებით) გაფორმების ვადა: აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში;
- ხელშეკრულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმების ხარჯებს ფარავს აუქციონში გამარჯვებული.
- მყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ლოტში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გატანა ტერიტორიიდან და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია.
- შეძენილი ქონების საფასურის (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე"-ს გამოკლებით) გადახდის ვადა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10

კალენდარული დღე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი ჩაითვლება ჩაშლილად და მას არ დაუბრუნდება გადახდილი „ბე“;

- ნასყიდობის ხელშეკრულებით გათავლისწინებული შეძენილი ქონების საფასურის სრულად გადახდამდე არ განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ნასყიდობის საგნის გატანა;

საბანკო რეკვიზიტები:

- **საბანკო რეკვიზიტები:**

**შეძენილი ქონების დარჩენილი ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) უნდა ჩაირიცხოს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე:**

**შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინლების“ საბანკო რეკვიზიტები:**
**შპს ”ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები” ს/კ 202462101**

**მის: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15**

**ბანკი: სს „თიბისი ბანკი“**

**ბანკის კოდი: TBCBGE22**

**ა/ა: GE75TB7787336070100001**

**ელ. ფოსტა: sales@railway.ge**

**ტელ: 032 219 91 19**

- „მყიდველმა“ ნასყიდობის თანხის გადახდიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, საკუთარი ხარჯით, სრულად უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით შეძენილი ქონების გატანა (დატვირთვა, ტრანსპორტირება, აუცილებელი საბუთების გაფორმება და ამასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა) „გამყიდველის“ ტერიტორიიდან.
- შეძენილი ქონების გატანის ვადის გადაცილების შემთხვევაში, ”მყიდველს” დაერიცხება პირგასამტეხლო სარეალიზაციო ღირებულების) ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- შეძენილი ქონების გატანა ”მყიდველმა” უნდა მოახდინოს ”გამყიდველის” წარმომადგენლის თანდასწრებით, შესაბამისი მიღება_ჩაბარების აქტის გაფორმებით.

სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს ”ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებში“

**მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15.**
**ავტომობილილის ტექნიკურ საკითხებზე - 591816921;**
**იურიდიულ საკითხებზე - 599919191**

**აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე 1420**